სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №მომს/18/06/13

ქ. თბილისი „28„ ივნისი 2013წელი

ერთის მხრივ, **შპს "საქაერონავიგაცია"** (რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0198, აეროპორტი; საიდენტიფიკაციო კოდი: 208144051), შემდგომში წოდებული, როგორც "შემკვეთი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი გოჩა მეზვრიშვილის სახით **და** მეორეს მხრივ, **შპს "კობრა ჯორჯია"-ს** (საფაო ოფისისა და ხელმძღვანელობის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №27/9, საიდენტიფიკაციო კოდი: 404413078), შემდგომში წოდებული, როგორც "შემსრულებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი ხუან ანტონიო ვისენტე როდრიგოს სახით,

შევთანხმდით ურთიერთშორის და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 ივლისის №1390 განკარგულება.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას **უზრუნველყოს ქუთაისში "კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის" საჰაერო მოძრაობის მართვის კოშკისა და ოფისის ახალ შენობაში შიდა განათებებების სამონტაჟო სამუშაოების შესრულება** (შემდგომში წოდებული, როგორც "მომსახურება"), №1 და №2 დანართების შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. **CPV კოდი 71318100**

1.2. შემკვეთის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სისრულეში მოყვანაზე ზედამხედველობას უზრუნველყოფენ საგანგებოდ უფლებამოსილი პირები: ლევან გიგეშიძე (განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი), გელა კულუმბეგაშვილი – (ფეშტუ სამსახურის უფროსი) და გიორგი შველიძე – ფეშტუ სამსახურის ინჟინერი. გარდა ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ისინი ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **31 523.46 ევროს** (დღგ-ს გარეშე).

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების ღირებულების გადახდა **31 523.46 ევროს** (დღგ-ს გარეშე) ოდენობით განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემსრულებლის ანგარიშზე, სამონტაჟო სამუშაოების დასრულების და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ის და გადასახდელ თანხაზე გამოწერილი ინვოისის დედანის წარმოდგენის შემდეგ 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. გადახდა წარმოებს ლარში ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისთვის დადგენილი კურსით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. **შემსრულებელი ვალდებულია:**

4.1.1. შეასრულოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (დანართი №1 და №2);

4.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებელი იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-სა;

4.1.3. შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს მისი ბრალეულობით გამოწვეული ყოველგვარი ზარალი.

4.2. **შემკვეთი ვალდებულია:**

4.2.1. უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებისა და მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

4.2.2. აიღოს პასუხისმგებლობა და გადაიხადოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყოველგვარი გადასახადი, საბაღური და ბაჟი;

4.2.3. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ მოახდენს ანგარიშსწორებას მე-3 მუხლის შესაბამისად, მას დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-სა;

4.2.4. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება.

მუხლი 5. სამუშაოების შესრულების განრიგი

5.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფს "კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის" საჰაერო მოძრაობის მართვის კოშკისა და ოფისის ახალ შენობაში შიდა განათებებების სამონტაჟო სამუშაოების დასრულებას 2013 წლის 10 სექტემბრამდე.

5.2 სამუშაოების შესრულება დასტურდება მხარეებს შორის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით და ფორმა №2-ით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, "ფორს-მაჟორი" ნიშნავს ნებისმიერ სამომავლო მოქმედებას და/ან ხარვეზს და/ან გარემოებას, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და არ ექვემდებარება მხარეების ან თითოეული მათგანის კონტროლს, რაც ხელს უშლის ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულებაში (ნაწილობრივ ან სრულად). ფორს-მაჟორული გარემოების და/ან გარემოებების დადგომის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში, დაზღვეული წერილის, ტელეფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით. ზემოაღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარეთა ვალდებულება გაგრძელდება აღნიშნული გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

7.2. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ცალმხრივად, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი ფორმით 5 დღით ადრე.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ, მხარეს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიმართ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 5 დღეში.

7.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებების ან სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. გარანტია

8.1. შემსრულებელი წარმოადგენს და იძლევა გარანტიას, რომ შპს "კობრა ჯორჯიას" მიერ გაწეული მომსახურება აკმაყოფილებს პროექტის მოთხოვნებს და მასთან დაკავშირებით მოქმედებს თორმეტი (12) თვიანი საგარანტიო პერიოდი, რომლის ათვლაც იწყება ორივე მხარის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტის წესი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

9.2 მხარეთა შორის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება შემკვეთის ტერიტორიაზე არსებული სასამართლოს მიერ, შემკვეთის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა პირობები

10.1. №1 და №2 დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი გზით შესრულებისა და ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაში.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, 4 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემკვეთს და ორიც – შემსრულებელს.

მუხლი 11. შეტყობინებები

11.1. ნებისმიერი წერილობითი შეტყობინება ან მოთხოვნა აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ცვლილების განხორციელების მოთხოვნის ჩათვლით, ითვლება პირადად მიწოდებულად ან ჯეროვნად ჩაბარებულად იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მისი გაგზავნა დაზღვეული

წერილის, ელ-ფოსტის ან ტელეფონის/ფაქსის საშუალებით, დედნების შემდგომი გადაგზავნის გზით.

11.2. მხარეთა შორის ყველა დოკუმენტი, შეტყობინება და წერილი შედგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემკვეთი:

შპს "საქაერონავიგაცია"
საქართველო, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი
0158, თბილისი
ტელ: +995 32 744 212
ფაქსი: +995 32 744 227
www.airnav.ge

საბანკო რეკვიზიტები:
საშუამავლო ბანკი: „სოსიეტე ჟენერალი", პარიზი, საფრანგეთი
SWIFT კოდი: SOGE FR PP
ბენეფიციარი ბანკი: "ბანკი რესპუბლიკა" თბილისი, საქართველო
მოკორესპოდენტო ანგარიში №001019083750
SWIFT კოდი: REPL GE 22
ბენეფიციარის სახელი:
შპს "საქაერონავიგაცია"
ბენეფიციარის IBAN
№ GE82BR0000000712070996

ბ-ნი გოჩა მეზვრიშვილი

გენერალური დირექტორი

"__" _____, 2013 წ.

შემსრულებელი:

შპს "კობრა ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 27/9
საიდენტიფიკაციო კოდი: 404413078
საბანკო მონაცემები: "TBC-BC-SC ბანკი"
SWIFT კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №GE38 TB79 3173 6050 1000 01 GEL

ბ-ნი ხუან ანტონიო ვისენტე როდრიგესი

დირექტორი

"__" _____, 2013 წ.

cobra

დანართი 1

ეკონომიკური წინადადება

შეთავაზების ნომერი: 8612/0026/12/INS V05 Mod 1c
დასახელება: საოფისე შენობის განათება
შემკვეთი: „საქაერონავიგაცია“

ხელშეკრულებაNo.მომს/18/06/13
თარიღი: 28/06/2013 წ.

CAP	POS/კოდი	რაოდენობა	ერთეული	კონფიგურაცია	სარეალიზაციო ფასები (ფასები ევროში)	
					საცალო	ჯამური
				საოფისე შენობის განათება		
C2				**საოფისე განათება - მონტაჟი**		
C2	.001	9	ცალი	COS/ORION 2x18 ვტ	26,09	234,81
C2	.002	31	ცალი	COS/ETOG TPI/IP-66 2X36 ვტ+	26,09	808,79
				პირველი სართული		
C2	.003	8	ცალი	COS/CLON-2 62084	26,09	208,72
C2	.004	36	ცალი	COS/LT-DLS 232	26,09	939,24
C2	.005	32	ცალი	COS//OPTOLIGHT 6002,00	26,09	834,88
C2	.005	4	ცალი	COS/PTI-280235 DO	26,09	104,36
C2	.006	38	ცალი	COS/INTER LVM-TA 4x18 ვტ	26,09	991,42
C2	.007	18	ცალი	COS/ORION SLT/VS 2x18 ვტ	26,09	469,62
C2	.008	18	ცალი	COS/ORION SLT/VS 2x26 ვტ	26,09	469,62
				მეორე სართული		
C2	.009	1	ცალი	COS/CLON-2 62084	26,09	26,09
C2	.010	11	ცალი	COS/LT-DLS 232	26,09	286,99
C2	.011	21	ცალი	COS/INTER LVM-TA 4x18 ვტ	26,09	547,89
C2	.012	13	ცალი	COS/ORION SLT/VS 2x18 ვტ	28,26	367,38
C2	.012	1	ცალი	NEO 05-9574 1x35 ვტ	28,26	28,26
C2	.013	241	ცალი	განათების პუნქტის მონტაჟი, რომელიც შედგება გამტარისა და კაბელისგან 750 ვ 3x1X2,5 მმ²	43,48	10.478,68
			სულ C2			**16.796,75**
C3				**TCT მართვის ოთახის განათება**		
C3	.001	6	UD	გარემომცველი განათების ჯგუფი - **არ შეიცავს ნათურას**	82,50	495,00
C3	.002	10	UD	კედელში ჩადგმული ლოკალური ინდივიდუალური სანათი - **არ შეიცავს ნათურას**	95,06	950,60
C3	.003	4	UD	ლოკალური შუქ-დიოდური განათება - **არ შეიცავს ნათურას**	95,06	380,24
			სულ C3			**1.825,84**
C4				**TCT ტექნიკური ოთახის განათება 01 TO 04**		
C4	.001	7	UD	WT360C 54 ვტ - არ შეიცავს ნათურას	103,43	724,01
C4	.002	11	UD	BBG490 - არ შეიცავს ნათურას	95,06	1.045,66
			სულ C4			**1.769,67**
C5				**TCT კიბის განათება**		
C5	.001	90	UD	ნათურების დამონტაჟება კიბეებზე	123,68	11.131,20
ჯამური თანხა (გადასახადის გარეშე)						**31.523,46**



ambient lighting dimmable*

recessed downlight individual dimmable*

downlight LED dimmable*

exhaust grill by COBRA, painted RAL 7021 Black Grey

*Lighting fixtures following lighting design specification by PRIMO

UNStudio Stadhouderskade 113 PO Box 75081 1070 AB Amsterdam - N	project code 2011-071 project name Kopitnari airport - Meteo station location Georgia	format A3 scale 1:50	stage D1 - Design Development status final	date 27.01.2012 revision date rev 1 - 09.04.2013	title Control cabin ceiling drawing code D1 -825C TCT



UNStudio

Stadhouderskade 113
PO Box 76381
1070 AJ Amsterdam - NL

20111-071
Kopinnarl airport - Meteo station
Georgia

A3
1:50

D1 Design Development
final

27.01.2012
rev 1 - 09.04.2013

Ceiling panels

D1 -825E TCT



UNStudio
Stadhouderskade 113
PO Box 75081
1070 AJ Amsterdam - N.

project number: 2011-071
project name: Kapilhari airport - Air traffic control
location: Georgia

drawing no: A3
scale: 1:200

status: D2 - Design Development / Construction Documents
phase: final

date: 27.01.2012
revision date: 29.06.2012 REV.3

title: 701OFF_Ground floor, ceiling plan
drawing code: D2 -701OFF



UNStudio; checked for execution

concrete ceiling existing, PLASTERWORK CEMENT SMOOTH

mineral acoustic suspended ceiling 600x600 (2500+FFL)

lowered ceiling, gypsium seamless, flushed and filmed

light fixture; tubes 1200 mounted interior + cabling

light fixture; tubes 600 mounted exterior

light fixture; tubes 600 recessed exterior

light fixture; PL spots build-in

light fixture; specials

visible ventilation ducts, MEP

UNStudio Stadhouderskade 113 PO Box 15081 1070 AL Amsterdam - NL	project number 2011-071 project name Kopitman airport - Air traffic control location Georgia	reference format A3 scale 1:200	phase D2 - Design Development / Construction Documents version status final	date 27.01.2012 revision date 29.06.2012 REV.3	title OFF First floor ceiling plan drawing number D2 -702OFF



UNStudio

Stadhouderskade 113
PO Box 75381
1070 AJ Amsterdam - NL

project number
2011-071
project name
Kopitiam airport - Air traffic control
building
Georgio

format
A3
scale
1:50

D2 - Design Development / Construction Documents

final

date
23.07.2012

Level 01

D2 -801TCT



UNStudio

Stadhouderskade 113
PO Box 75167
1070 AJ Amsterdam - NL

project number
2011-071
project name
Kopitnari airport - Air traffic control
location
Georgia

scale
A3
1:50

status
D2 - Design Development / Construction Documents
version
final

date
23.07.2012

title
Mezzanine level

title drawing code
D2 -801M TCT



UNStudio
Stadhouderskade 113
PO Box 7586
1070 AJ Amsterdam - NL

2011-071
Kopitinari airport - Air traffic control
Georgia

A3
1:50

D2 - Design Development / Construction Documents
final
23.07.2012

Level 02
D2 -802TCT



UNStudio
Stadhouderskade 113
PO Box 75361
1070 AJ Amsterdam - NL

project number: 2011-071
project name: Kopitnari airport - Air traffic control
location: Georgia

format: A3
scale: 1:50

D2 - Design Development / Construction Documents
status: final

date: 23.07.2012

Level 03
D2 -803TCT